BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

დირექტორის წერილი

ძვირფასო BGA-ის საზოგადოების წევრებო,

აკადემიური წლის პირველი სემესტრი BGA-ში არაჩვეულებრივად წარიმართა. მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა, უკეთ გამეცნო ბევრი თქვენგანი, ისევე, როგორც ჩვენი მოსწავლეები და თანამშრომლები. ჩემთვის დიდი პატივია, ამ საოცარი სკოლისა და საზოგადოების ნაწილი ვიყო. 22 ნოემბერს ჩატარებულმა შეხვედრებმა, რომლებზეც მასწავლებლებთან ერთად განიხილავდით ჩვენი მოსწავლეების პროგრესსა და შედეგებს, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რამდენად ზრუნავთ მათ სამომავლო პერსპექტივებსა და აკადემიურ მოსწრებაზე. თანამშრომლებისა და მშობლების ჩართულობა საუკეთესო რამაა, რაც დირექტორმა შეიძლება სკოლისა და მოსწავლეების წარმატებისთვის ინატროს. პერსონალისა და მშობლების მხრიდან პოზიტივისა და ამაღლებული განწყობის დანახვა კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს აკადემიური შედეგებისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად. 2025 წელს უამრავ სიახლესა და ღონისძიებას ვგეგმავთ.

რაც შეეხება დეკემბერს, პირველი სემესტრის ბოლო თვე საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. სრულდება მოსწავლეების შეფასებების პროცესი, რაც ზოგიერთი კლასისათვის შუალედურ ტესტებსა და გამოცდებს ითვალისწინებს. ამით სასწავლო წლის შეფასების პირველ ციკლს შევაჯამებთ. მნიშვნელოვანია, რომ იანვარში ნიშნები და მასწავლებლების შეფასებები სიზუსტით გამოირჩეოდეს, მოსწავლეების ნამუშევრების შეფასება კი სწორედ ამის გარანტიაა. რაც მთავარია, ამგვარად მასწავლებლები 2025 წლის იანვრიდან სათანადოდ განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების პრიორიტეტებს.

2024 წელს დაწყებითი საფეხურის ორი არაჩვეულებრივი წარმოდგენით ვასრულებთ! ჩვენმა მოსწავლეებმა ნამდვილად მოგვცეს სიამაყის მიზეზი. დიდი პატივია, რომ ეს ნიჭიერი, შემოქმედებითი და გამორჩეული ბავშვები BGA-ის მოსწავლეები არიან.

BGA CHRISTMAS DINNER

ამ ხუთშაბათს როგორც თანამშრომლებს, ასევე მოსწავლეებს საუცხოო საშობაო სადილით გავუმასპინძლდებით, რომელზეც ჩვენი კაფეტერიის გუნდმა საგულდაგულოდ იმუშავა. ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, რომ ყველა გავერთიანდეთ და სემესტრი ამაღლებული განწყობით დავასრულოთ. მოუთმენლად ველით ჩვენს მოსწავლეებს კაფეტერიაში ჩვეულ დროს:

დაწყებითი საფეხური — 11:25am

საბაზო საფეხური — 12:55pm

დეკემბრის საშობაო წარმოდგენები

12 დეკემბერს ბრიტანულ-ქართული აკადემიის დაწყებით საფეხურზე ორი სხვადასხვა საშობაო წარმოდგენა გაიმართა. 0 და პირველი კლასის მოსწავლეებმა მოწვეულ მშობლებს წარუდგინეს საშობაო მიუზიკლი Shine Star, Shine, რომელიც შობის ვარსკვლავის განსაკუთრებულ მისიაზე მოგვითხრობს. მე-2, მე-3 მე-4 კლასებმა კი მიუზიკლი Children of the World დადგეს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ჩინეთში, ირლანდიაში, აშშ-ში და ა.შ) არსებულ საახალწლო ტრადიციებზე გვიყვება. გვინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისა და საოცარი კოსტიუმების უზრუნველყოფისათვის, რამაც ეს სანახაობა ერთი-ორად ეფექტური და საზეიმო გახადა.

ინფორმაცია მე-10 კლასელების მშობლებისათვის

მე-10 კლასი ამაღელვებელი ეტაპია მოსწავლეებისათვის, რადგან სწორედ ამ დროს იწყებენ ფიქრს არჩევანზე, რომელიც სკოლის დასრულების შემდეგ მათ ცხოვრებას განსაზღვრავს. პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმ საგანმანათლებლო გზის არჩევაა, რომელსაც ისინი მე-11 კლასიდან გაჰყვებიან. როგორც იცით, დამამთავრებელ საფეხურზე მოსწავლეები არჩევანს აკეთებენ ქართულ პროგრამასა და IB სადიპლომო პროგრამას შორის აკეთებენ, რომელთაგანაც ორივეს უნიკალური უპირატესობები აქვს.

ამასთან დაკავშირებით, მე-10 კლასის მოსწავლეებსა და მშობლებს გიწვევთ საინფორმაციო საღამოზე, რომელიც **ხუთშაბათს, 16 იანვარს, 15:45-დან 16:45-მდე,** BGA-ს კაფეტერიაში გაიმართება. საინფორმაციო საღამოზე შეძლებთ, მოუსმინოთ ჩვენს საუნივერსიტეტო მრჩევლებს, ქალბატონი ლალი გელაშვილი ქართული პროგრამის სტრუქტურას გაგაცნობთ, ხოლო ბატონი მარტინ კეონი IB სადიპლომო პროგრამის შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას. ასევე გექნებათ შესაძლებლობა, კითხვები დასვათ და ინდივიდუალური მიზნები განიხილოთ.

საბაზო საფეხურის დილის შესვენების ხანგრძლივობა იცვლება

სიხარულით გაცნობებთ, რომ საბაზო საფეხურისათვის შესვენება 20-წუთიანი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები შეძლებენ, საუზმე აუჩქარებლად მიირთვან. ამ ცვლილებით გვსურს, მოსწავლეებს დროის უკეთესად მართვაში დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ, რომ მესამე გაკვეთილზე პუნქტუალურად, 11:05-ზე გამოცხადდნენ. იმისთვის, რომ განრიგის შეცვლა შესაძლებელი გამხდარიყო, მენტორის სესია 10 წუთამდე შემცირდა (10:35-10:45). ამ დადებით სიახლეს იანვარში დავნერგავთ და მოსწავლეებისაგან სრულ მხარდაჭერას ველით, რაც მესამე გაკვეთილის დროულად დაწყებაში უნდა გამოიხატოს. ეს აუცილებელი პირობაა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის.

საორიენტაციო შეხვედრები 7-8 კლასების მშობლებისთვის

იანვარში ორ მნიშვნელოვან შეხვედრას გავმართავთ მშობლებთან: **20 იანვარს** მე-7 კლასის მოსწავლეთა მშობლებს გიწვევთ საორიენტაციო შეხვედრაზე, სადაც ვისაუბრებთ საბაზო საფეხურზე ტრანზიციის მეორე წელზე, მიმდინარე აკადემიურ პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე. მე-8 კლასის მოსწავლეების მშობლებისთვის შეხვედრა **27 იანვარს** გაიმართება. როგორც იცით, მე-8 კლასის ბოლოს, მოსწავლეები კემბრიჯის პროგრამიდან IGCSE-ის პროგრამაზე ინაცვლებენ და დგებიან ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე – სწორად შეარჩიონ ის საგნები, რომლებიც შემდეგი ორი წლის განმავლობაში უნდა ისწავლონ. შეხვედრაზე გექნებათ შესაძლებლობა გაესაუბროთ იმ საგნების კათედრის ხელმძღვანელებს, რომელთა არჩევაც IGCSE-ის პროგრამაზე მოსწავლეებს შეუძლიათ.

დილის შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან

თვეში ერთხელ როგორც დაწყებითი საფეხურის, ისე საბაზო-საშუალო საფეხურის მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ, აკადემიურ დირექტორს შეხვდნენ. ეს ინიციატივა კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებასა და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებას ემსახურება. გთხოვთ, შეავსოთ კითხვარი. ეს გამოკითხვა დაგვეხმარება, დავრწმუნდეთ, რომ ყურადღებას ვამახვილებთ თქვენთვის ყველაზე აქტუალურ და სასარგებლო თემებზე.

გთხოვთ, შესაძლებლობისამებრ დაესწროთ ამ შეხვედრებს და ვიმედოვნებთ, რომ ამგვარად მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობა და ურთიერთგაგება კიდევ უფრო განმტკიცდება.

თარიღი	საათი	კლასი
19 დეკემბერი	*8:45-10:00*	*F1-მე-5 კლასი*
23 იანვარი	*8:45-10:00*	*6-12 კლასი*
29 იანვარი	*8:45-10:00*	*F1-მე-5 კლასი*
6 თებერვალი	*8:45-10:00*	*6-12 კლასი*
13 თებერვალი	*8:45-10:00*	*F1-მე-5 კლასი*
6 მარტი	*8:45-10:00*	*6-12 კლასი*

თვის რჩეულები

ანა ყოლბაია

ანა ყოლბაია მე-11 კლასიდან შემოუერთდა ჩვენს სასკოლო საზოგადოებას და მალევე დაიმსახურა მეგობრებისა და მასწავლებლების პატივისცემა და სიყვარული. ის ამჟამად IB სადიპლომო პროგრამის მე-12 კლასში სწავლობს და სამომავლო ნაბიჯებზე ფიქრობს. ანა სასწავლო პროცესის, მასწავლებლებისა და ბრიტანულ-ქართული აკადემიის მთავარი ღირებულებების მიმართ სანიმუშო დამოკიდებულებით გამოირჩევა და გვჯერა, რომ ნებისმიერ დასახულ მიზანს მიაღწევს.

სალომე რუხაია

სალომე რუხაია ამჟამად IB სადიპლომო პროგრამის მე-11 კლასის მოსწავლეა. ის ყოველთვის გამოირჩევა პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობითა და შეუპოვრობით. სალომესთვის მასწავლებლებისა და მეგობრების თანადგომა შეუმჩნეველი არასდროს რჩება. მისი ყოველდღიური პროგრესი და მიღწევები თვალსაჩინოა. სალომე აქტიურად და დიდი ინტერესით ერთვება აკადემიაში დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში.

MAKER FAIRE 2024

ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ თბილისის საერთაშორისო ბრიტანულ სკოლასთან ერთად გლობალურ ტექნოლოგიურ ღონისძიებას, Maker Faire-ს უმასპინძლა. ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით დაინტერესებულ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, 30-ზე მეტ ინტერაქციულ აქტივობაში ჩართულიყვნენ: ემართათ დრონები, მოერგოთ ვირტუალური რეალობის სათვალეები და საკუთარი რობოტებიც შეექმნათ. ღონისძიების წარმატებით ჩატარებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს BGA-ის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა, რომლებიც უმცროს მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობისას მხარდაჭერას მოხალისეობრივად უწევდნენ.

საქველმოქმედო ინიციატივა რეგიონის სკოლისათვის

როგორც იცით, შემოდგომის ფესტივალის ფარგლებში გამართულ გამოფენა-გაყიდვაზე თქვენი ძალისხმევის შედეგად 10 800 ლარი შევაგროვეთ. ამ თანხით სკოლამ სხვადასხვა ტექნოლოგიური აჭურვილობა (პროექტორი, პრინტერი, ხმის გამაძლიერებელი, სინთეზატორი და ა.შ) შეუძინა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვის საჯარო სკოლას, რითაც ვიმედოვნებთ, რომ მნიშვნელოვნად შევუწყობთ ხელს სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის გაზრდას.

წიგნის კლუბის დაჯილდოება

11 დეკემბერს 2-5 კლასების მოსწავლეები ინგლისური წიგნის კლუბის ფარგლებში ბრინჯაოს მკითხველის სერტიფიკატებითა და გულსაკიდებით დაჯილდოვდნენ. კლუბის ფარგლებში მოსწავლეები თავად ირჩევენ ინგლისურენოვან წიგნებს, კითხულობენ და შემდეგ კლუბის ხელმძღვანელთან ერთად მსჯელობენ. ჩვენს პატარა მკითხველებს დამატებით ვაჯილდოებთ მონდომებისათვის და განსაკუთრებული ძალისხმევისათვის. მოსწავლეებს ამჯერად წიგნის კლუბის სამახსოვრო მაისურები გადაეცათ.

გია ნოდიას სტუმრობა

ჰუმანიტარული მეცნიერების დეპარტამენტმა ორი საგნის, ისტორიისა და TOK-ის (Theory of Knowledge) ინტეგრაციის ფარგლებში მოსწავლეებთან შესახვედრად ფილოსოფიის დოქტორი, პოლიტოლოგი და განათლების ყოფილი მინისტრი გია ნოდია მოიწვია. ლექციის თემატიკა “საიდან მოდის ცოდნა” მოსწავლეების ინტერესებისა და პროგრამის მიხედვით შეირჩა. შეხვედრაზე სტუმარმა ისაუბრა, როგორ იქმნება და ვრცელდება ცოდნა და რა გავლენას ახდენს თითოეული ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეები საზოგადოების ფორმირებაზე.

სახვითი ხელოვნების კონკურსი

მე-11 კლასის მოსწავლეებმა, თეკლა ჯაფია-შვილმა და თამარ რაზმაძემ CAS-ის პროექტის ფარგლებში შიდა სასკოლო სახვითი ხელოვნების კონკურსი დააორგანიზეს, რომელშიც 7-12 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემატიკის, მრავალფეროვანი ტექნიკითა და მასალით შესრულებული ნამუშევრები. კონკურსის გამარჯვებულმა სამეულმა მედლები და სასაჩუქრე ვაუჩერები დაიმსახურა, მონაწილეებს კი სერტიფიკატები გადაეცათ. გვიხარია, რომ მოსწავლეები სკოლის შემოქმედებით ცხოვრებაში აქტიურად ერთვებიან.

უფროსკლასელები უკითხავენ პატარებს

აკადემია ქართული ენის დეპარტამენტის დაწყებითი და საშუალო საფეხურების კათედრების მხარდაჭერით გამორჩეულ ინიციატივას ახორციელებს: უფროსკლასელი მოსწავლეები პატარებთან ერთად კითხულობენ და მათ კითხვითი უნარების დახვეწაში ეხმარებიან. ამჯერად მე-11 კლასის მოსწავლეები მე-2 კლასის მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სტუმრობენ. კითხვის სესიები ხშირად ბიბლიოთეკის სასიამოვნო გარემოში იმართება.

IB DP-ის მე-11 კლასის მოსწავლე ნატალი ნიქაბაძე CAS-ის პროექტის ფარგლებში "წიგნის კლუბში" მესამე კლასის მოსწავლეებს ყოველკვირეულად მასპინძლობს. ისინი ერთად კითხულობენ პატარა საინტერესო წიგნებს, შემდეგ კი მსჯელობენ. პატარებისთვის უფროსკლასელებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, როცა საქმე წიგნიერებასა და ლიტერატურას ეხება.

დეკემბრის სპორტული მოვლენები

9 დეკემბერს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა *ცუხვის* დღე აღნიშნეს და საკუთარი უნარები თავისუფალი სტილითა და გულაღმა ცურვის დისციპლინებში გამოავლინეს. გამარჯვებულებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

18-19 დეკემბერს ფეხბურთის U12, U13 და U15 გუნდები ფრანგულ სკოლას დაუპირისპირდებიან. იმედი გვაქვს, რომ 2024 წელს რაც შეიძლება მეტი სპორტული გამარჯვებით ჩავამთავრებთ.

HOUSE POINTS

TAMAR MEPE	ILIA	RUSTAVELI	PIROSMANI
536	488	470	463

მაკა ბარამიძე
აკადემიური დირექტორი

ჯოშუა გარნერი
აკადემიური დირექტორის მოადგილე პერსონალური განვითარების მიმართულებით

სოფიო ჟღენტი
აკადემიური დირექტორის მოადგილე კურიკულუმისა და შეფასების მიმართულებით

მარინა ქელიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მარტინ კეონი
IB საგიპლომო პროგრამის ხელმძღვანელი

თემო ვაშაკიძე
აკადემიური დირექტორის მოადგილე

ლალი გელაშვილი
ქართული მიმართულების ხელმძღვანელი

დადუნა დოლიძე
მშობლებთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი

დეკემბერი, 2024

British-Georgian Academy